



ივერია

ქართული ეროვნული კოლიტიკის ორგანო
პერიოდული გამოცემა

L'organe de la politique nationale Géorgienne

„I V E R I A“

Directeur E. PATARIDZE.

Rédacteur S. TCHIRAKADZE.

შ ა ბ ი ბ ი 1974

N° 16

M A I 1974

შ ი ნ ა ა რ ს ი:

26 მაისი

უწინ და ახლა

ახალი ისტორიული ერთობა

მუჟანაძის გადაყენება

ქართველი ქალები საკონც. ლაგერებში

გრიგოლ რობაქიძე

დიდი რუსი პატრიოტი

ს. ჭირაქაძე.

შ. კალანდაძე.

ს. ჭირაქაძე

ვულ. ურატაძე.

გ. გამყრელიძე.

მ. ქავთარაძე

საქართველოს ეროვნულ - დემოკრატიული პარტია.

LE PARTI NATIONAL-DEMOCRATE GEORGIEN

პარიზი — PARIS

1974



ივერია

მაისი 1974

№ 16

კიდევ ერთი 26 მაისი გვითენდება გადახვეწილობაში იგი მეორმოცდაათოთხმეტეა. მაგრამ ჩვენი რწმენა და ჩვენი ერთგულება ამ დღისადმი, რომელიც ჩვენმა უტყუარობამ ჩვენს გულში და გრძნობაში სიმტკიცის სიმბოლოდ აქცია, ოდნავადაც არ შენელებულა.

მარტო ეს ფაქტიც საკმარისია იმის ცხადსაყოფად რომ მიზანი სწორია, დიდებულია და სამარადისოა. იგი ჩვენთვის უპირველესი სწრაფვაა და იმათთვის ვინც მის განხორციელებას მოესწრება მუდმივ ზრუნვის სავანი იქნება.

თავისუფლების პრინციპი რომელიც საკუთარ განვითარების, გაფუჩქენის, საკუთარ სასიცოცხლო გზის არჩევის პრინციპია, ყოველ ცოცხალ არსებაში ბუდობს, მიკრობიდან დაწყებული, მცენარე, ცხოველი და უმაღლეს განვითარების საფეხურზე მდგომ ადამიანამდე. ერი ამ უმაღლეს საფეხურის სულიერთა, ადამიანთა, ბუნებრივი და უძლიერესი შენაერთია.

ყველა და ყოველი ვინც ამ სწრაფვას რაიმე მიზეზით შესწყვიტავს, განადგურდება ან ისე დაკნინდება რომ უკვე აღარ მიეკუთვნება იმ ჯიშს რომელსაც იგი ადრე ეკუთვნოდა.

ქართულმა მოდემამ ჩვენი საბეობა, თავისი გამძლეობის წყალობით მრავალ ათეულ საუკუნეთა მანძილზე დღემდე მოიტანა, მიუხედავად უამრავ და საშინელ დაბრკოლებათა რომელნიც დროში და სივრცეში მის წინსვლას უმოწყალოდ ეწინააღმდეგებოდნენ.

ამ წინსვლის, სიცოცხლის და მეობის შენარჩუნების სიმბოლოა 26 მაისი. ვინ რა საბუთი უნდა მოიტანოს. ვინ რა პროპაგანდა უნდა გასწიოს, ქართველი კაცი ვიდრე იგი თავს ქართველად გრძნობს, 26 მაისის ერთგული იქნება და მისთვის იბრძოლებს.

დიდება საქართველოს! გაუმარჯოს 26 მაისს!

უ წ ი ნ და ა ხ ლ ა

(ეროვნული საკითხის გარშემო.)

საქართველოს ეროვნული საკითხის განვითარება ორ პერიოდით შეიძლება გავყოთ: პირველი პერიოდია 1917 წ. რევოლუციამდე, მეორე კი — რევოლუციის შემდეგ, ე. ი. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, (1918 წ. 26 მაისი.) პირველ ხანას ახასიათებს ეროვნულ პრობლემის გარშემო თეორიული დავა, რომელიც ხანგრძლივად სწარმოებდა სოც. დემოკრატებსა და სოც. ფედერალისტებს შორის. ეს დიდი თემაა და ობიექტიურ კვლევის საგანია. ჩვენს პირობებში მასზე წერა ძნელია.

ეროვნული საკითხი საქართველოში მწვავედ იდგა და სოციალისტურ მოძრაობის ბელადები მის შესახებ ბევრსაც სწერდნენ. განსაკუთრებით ნოე ჟორდანია, ლ. დარჩიაშვილი (ავტონომისტი,) აკ. ჩხენკელი, პ. საყვარელიძე, ივ. გომართელი და სხვ. („ალიონელების ჯგუფი). საქმე შეეხებოდა არა ეროვნული საკითხის უარყოფას, არამედ მის თეორიულ დასაბუთებას, მის გადაჭრის შესაძლებლობას, ბრძოლის მეთოდს. კულტურულ-ტერიტორიალურ ავტონომიის მომხრე ყველანი იყვნენ, თვით სოც. დემოკრატები, ავტონომისტი სოც. დემოკრატები აღიარებდნენ შესაფერის პირობებში ავტონომიის განხორციელებას, ასევე სოც. ფედერალისტები ავტონომიას მოითხოვდნენ, ფედერაციულ საწყისებზე. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია კი, ეყრდნობოდა რა 1783 წ. ერეკლე მეფის ტრაქტატს და მის უფლებრივ საუკუძვლებს, აგრეთვე ავტონომიას მოითხოვდა. ომის მოლოდინში, უცხოეთში მყოფი ქართველი ნაციონალისტები (მ. წერეთელი, გ. მაჩაბელი, ძმ. კერესელიძენი, პ. ლურჯულაძე და სხ.) სეპარატისტები იყვნენ. საქართველოში სეპარატისმის წამოყენება, სრული დამოუკიდებლობის მოთხოვნა ერისათვის სახიფათო იყო, ხოლო შიგნით, კანონის ფარგლებში ავტონომიის მოთხოვნა, ეროვნულ საკითხზე დავა და კამათი ეროვნულ თვითშეგნებას აძ-

ლიერებდა, რაც ხელსაყრელ პირობებში ჩვენი ქვეყნისათვის გამოსადეგი იქნებოდა.

იარაღით ამ საკითხის გადაწყვეტა მეტად ძნელი იყო, თუმცა წარსულში, როცა რუსეთმა ცალმხრივად გააუქმა ერეკლე მეფესთან დადებული ხელშეკრულება და მოსპო მისი ეროვნული თავისუფლება, ქართველ ერს ბრძოლისათვის თავი არ დაუზოგავს, ბევრი ამბოხებაც კი მოაწყო მეფის რუსეთის წინააღმდეგ, 1832 წ. შეთქმულებაც, თვითმპყრობელობის უღლის მოსაშორებლად,— მარცხით და მსხვერპლით დამთავრდა.

საქირო დარჩა ახალი გზის გამონახვა; ეს ითავებს 60-წლებს დიდმა მოღვაწეებმა: — ილია ჭავჭავაძემ, აკ წერეთელმა, ნ. ნიკოლაძემ, გ. წერეთელმა, ს. მესხმა და სხ. დაცემული ეროვნული ვინაობის აღდგენა შეიძლებოდა მხოლოდ საზოგადოებრივი მოძრაობით, ეროვნულ შეგნებისათვის ბიძგის მიცემით, მწერლობით და კულტურულ მუშაობით, რომ ამოძრავებელი ეროვნული ძალები მისი ინტერესების სადარაჯოზე მტკიცედ დამდგარიყვნ.

უფრო გვიან მე-19 საუკუნის მიწურულში, საზოგადო ასპარეზზე გამოვიდნენ ე. წ. მესამე დასელები და შენდგენ უფრო ფართო მასშტაბით ქართ. სოც. დემოკრატები. მათ აამოძრავეს და დარაზმეს მშრომელი ხალხის დიდი უმრავლესობა. მაგრამ ისინი ეროვნულ იდეათა ნაცვლად უფრო რევოლუციურ სოციალისტურ იდეებს წერგავდნენ ზალხში. ამ იდეებით შეიარაღებულნი მონარქისტულ რუსეთს უპირისპირდებოდნენ და რევოლუციონურ ძალებთან დაკავშირებით და თვითმპყრობელობის ტახტის დამხობით აპირებდნენ მაშინდელ პრობლემების გადაჭრას. ისინი ფიქრობდნენ რომ ეს მოვლენა სასარგებლო იქნებოდა ყველასათვის და ამავე დროს დემოკრატიული გზით გადიჭრებოდა როგორც პოლიტიკურ— ეროვნული, აგრეთვე სოციალურ-ეკონომიური საკითხებიც.

მაშასადამე, მეორე პერიოდი რუსეთის რევოლუციის შემდეგ იწყება. რევოლუციონურ მოძრაობას სათავეში

დემოკრატიულ—სოციალისტური ძალები მოექცა, რომელშიდაც ქართველი სოც. დემოკრატები აქტიურ როლს თამაშობდნენ, (კ. ჩხეიძე, ირ. წერეთელი.) რევოლუციის შესვეურებს, დროებით მთავრობას, რომლის წევრია ირ. წერეთელი იყო, გადაწყვეტილი ჰქონდათ დამფუძნებელი კრების მოწვევა და ყოფილ რუსეთის იმპერიის ნანგრევებზე ახალ სახელმწიფოებრივ საფუძველზე დემოკრატიული რესპუბლიკა აეშენებიათ, გამოემუშავებიათ ძირითადი კანონები — კონსტიტუცია, რომელიც სახელმწიფოებრივ სტრუქტურას განსაზღვრავდა, ამასთანავე იმპერიაში შემავალ ერთა ეროვნულ უფლებრივ მდგომარეობას მოაგვარებდა. ძნელი სათქმელია სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია, თუ რა საწყისებზე ჩამოაყალიბდებოდა, რადგან განახლებულ რუსეთშიც იყო ისეთი პოლიტიკური პარტიები, რომელნიც რუსეთის ცენტრალისტურ ხასიათის სახელმწიფოს ავტონომიურ ერთეულებად დაყოფას სრულიადაც არ გაიზიარებდა, და ცენტრალიზმის შენარჩუნებას გააფთრებით დაიცავდა.

ოქტომბრის გადატრიალებამ ყოველივე ეს ჩაშალა. მოწვეული დამფუძნებელი კრება უხეში ძალით გარეკილ იქნა; ლენინის შეთქმულებამ გაიმარჯვა, დროებითი მთავრობა დაემხო, ყოველგვარი თავისუფლება მოისპო და ბოლშევიკური პარტიის დიქტატურა დამყარდა. ამას თან მოჰყვა სამოქალაქო ომები, ანარქია, რუსეთის იმპერიის საბოლოო დაშლა, ერების გამოყოფა და ახალი ეროვნული სახელმწიფოების წარმოქმნა.

შექმნილი ისტორიული პირობების გამო საქართველოც ამ ფერხულში ჩაება; გამოცხადდა დამოუკიდებლობა და დემოკრატიულს წყობილების შექმნის გზას დაადგა.

დამოუკიდებელ საქართველოს მეთაურები, სწორედ ს. დემოკრატები იყვნენ, რომელთა წინანდელი ღრმა რწმენა იყო, ყოველი ეროვნული უფლება, რუსეთის დამფუძნებელი კრების მიერ, კანონიერი გზით, მოეპოვებიათ და არა ცალმხრივი პოლიტიკური აქციით. ქართველი ხალ-

ხის ინტერესებისათვის, მათ ეს უფრო მისაღებად მიაჩნდათ.

ლენინის ბოლშევიკური რუსეთი, ჩვენს დამოუკიდებელ არსებობას ვერ შეურიგდა, შეიარაღებულ ძალით, ომის გამოუცხადებლად თავს დაესხა და მოსპო მისი ეროვნული სუვერენობა, მისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა (1921 წ. თებერვალში). აქიდან მოკიდებული, აგერ ათეული წლების განმავლობაში. შინ და გარედ, ქართველ ერს აგრესორ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლა აქვს და არცინ უწყის ბრძოლა ჩვენის გამარჯვებით როდის დამთავრდება და როგორც რომელი იურისტები იტყოდენ რაიმე ისტორიული მოვლენების გამო, ეს უსათუოდ მოხდება; ამის წინასწარმეტყველება საჭირო არ არის., ჩვენ მას მუდამეაშს უნდა მოველოდეთ. ემიგრაციის მოვალეობაა ბრძოლა შეუსუსტებლად განაგრძოს და საქართველოს დამოუკიდებლობის წმიდა იდეა სრულჰყოს.

ამიტომ. ჩვენ დღეს ეროვნულ განმათავისუფლებელ ბრძოლას უპირატესობას ვაძლევეთ და სხვა სოციალურ-ეკონომიური საკითხები, თუგინდ პიროვნების თავისუფლება, თავისუფალ საქართველოში უფრო ადვილად გააღიჰრება, ვიდრე მონობის უღელქვეშ ყოფნისას. ამის გამო იყო, ჩვენ მხოლოდ სინანულს გამოვსთქვეამდით, რომ დამოუკიდებელ საქართველოს მეთაურები ისე განვიდენ ამ ქვეყნიდან, რომ ეს გარკვეულად არ უთქვამთ. რაც შეეხება ჩვენს თანამეკალმეს პ. სარჯველაძეს განმარტებას, რომ სხვადასხვა ისტორიულ პირობებში, ხან ერთს ეძლეოდა უპირატესობა და ხან მეორეს, ეს მისაღები ფორმულად გვეჩვენება, ჩვენ კი პრინციპში მაინც პრიმატს ეროვნულს ვაძლევეთ.

აბლა ემიგრაციაში, სოციალურ-ეკონომიურ საკითხებზე ბაასი ან იდეოლოგიური ბრძოლა ანაქრონიზმი იქნებოდა. ცხადია, სოციალისტური პარტიის მოვალეობაა, ისე როგორც სხვებისათვის, ეს მჭრელი იარაღი საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ გამოყენებული იქნეს, სადაც

სოციალურ—ეკონომიური საკითხების მოგვარება ბევრ-
რაჲში მოიკოჭლებს და დემოკრატიული ქვეყნებს დი-
დად ჩამორჩება.

ჩვენთვის, ამჟამად პირველ რიგში საქართველოს და-
მოუყიდებლობის მოპოება სდგას. ამ იდეიის გარშემო
უნდა დაირაზმოს ემიგრაციის ძალების ენერგია და შე-
საძლებლობა. დანარჩენს თავისუფალი სააქართველო
გადასწყვეტს.

ს. კირაქაძე.



ახალი ისტორიული ერთობა

უკანასკნელ დროს, საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელო-
ბის პორტ-პაროლი ლეონიდე ბრეჟნევი ხშირად ლაპა-
რაკობს საბჭოთა კავშირის ხალხთა ინტერნაციონალურ
მეგობრობის გაძლიერებაზე. მაგრამ, როგორც ბევრი
სხვა ტერმინი, სიტყვა „ინტერნაციონალურს“ კრემლის
მესვეურთათვის ის აზრი და მნიშვნელობა არა აქვს. რა-
საც ჩვეულებრივად ის შეიცავს. ცნობილ ფორმულას
„ნაციონალური ფორმით, ხოლო სოციალისტური შინა-
არსით“ ბრეჟნევი თავის დამატებას უკეთებს: კულტუ-
რა სოციალისტური შინაარსით, ნაციონალური ფორმით
და ინტერნაციონალური სულისკვეთებით.

ამ ფორმულის ამოსაცნობათ დიდი თავისტეხა არ არის
საჭირო. ეს დამატება ნაციონალური პოლიტიკის ხაზის
შეცვლას ასახავს და მიმართულია ნაციონალურ რეს-
პუბლიკებში, ნაციონალურ ლტოლვათა და მისწრაფება-
თა წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად. რას ნიშნავს
ლეონიდე ბრეჟნევის „ინტერნაციონალიზმი?“

პარტიის ოცდამეოთხე ყრილობაზე, მან წამოაყენა
ახალი ისტორიული ცნება. ბრეჟნევემა ბრძანა: „ჩვენს
ქვეყანაში ხალხთა ახალი ისტორიული ერთობა აღმოცენ-
და — საბჭოთა ხალხიო“. ეს განსაზღვრავს ახალ გადახ-
რას საბჭოთა ნაციონალურ პოლიტიკაში.

ამ გადახრის მიზანია ყოველგვარი საშუალებით ნაციონალურ თავისებურებათა წაშლა კულტურასა, ჩვეულებებსა და საბჭოთა ხალხების ცხვრებაში, ეოების ერთსახეობამდე დაყვანა რუსიფიკაციის გზით, მათი ჩახრჩობა და არევა საერთო ეთნოლოგიურ ქვაბში, რომელსაც ეწოდება — „ახალი ისტორიული ერთობა — საბჭოთა ხალხი“.

ამ ასიმილაციის განზორციელებისათვის არსებობენ ნაცადი საშუალებანი: მასობრივი გადასახლებანი, მასობრივი ჩასახლებები ერთი რესპუბლიკიდან მეორეში, საბჭოთა პატრიოტიზმის ხელოვნური კულტივარება, რაც ხორციელდება, უმთავრესად, რუსული პატრიოტიზმის, რუსული კულტურის, რუსული ისტორიის და რუსული ენის ბაზაზე. ეს რუსიფიკაციული პროცესი, რომელიც სრულიად არ შედის რუსი ხალხის ინტერესებში, და არარუსი ხალხების რუსი ხალხზე ორიენტირება, როგორც მოწინავე და წამყვან ერზე, საბჭოთა რეჟიმის არსებობის მანძილზე კრემლის ნაციონალური პოლიტიკის განუყოფელი ნაწილი იყო. ეს ორიენტირება განსაკუთრებით ომის შემდეგ შეინიშნება.

საბჭოთა ისტორიულმა მეცნიერებამ წამოაყენა გრანდიოზული პანსლავისტური კონცეპცია. ამ კონცეპციის თანახმად სლავები ჩვენს ერამდე სამი ათასი წლის წინედ ყალიბდებიან. მეორე ათასეულ წლებში სლავებს ლეტების ტომები გამოეყოფებიან. პირველ ათასეულ წლებში ჩვენს ერამდე სლავები ქმნიან ეგრეწოდებულ „გალშტატის“ კულტურას, ყველაზე მაღალს და მოწინავეს მაშინდელ ევროპისათვის. ეს კულტურა, საბჭოთა მეცნიერების შეზღუდულებით, საფუძვლად დაედო შემდგომ ევროპულ კულტურას. ჩვენს ერამდე პირველ ათასეულის ბოლოში სლავურ ტომების კონსოლიდაციის პროცესი დამთავრებულია. ამ ტომებისაგან განსაკუთრებით გამოირჩევა აღმოსავლეთის სლავები, მოწინავე და წამყვანი — რუსული ტომი მდინარე როსიზე. ეს ტომი ქმნის მაღალ ნაციონალურ სლავურ კულტურას, რომელიც ვრცელდება სხვა დანარჩენ სლავურ ტომებს შო-

რის. ის კიევეში აფუძნებს სახელმწიფო ცენტრს, რომელიც შემდგომ მოსკოვში გადააქვთ. აქ ველიკოროსები ქმნიან მოსკოვის სამეფოს, აერთიანებს მის ირგვლივ აღმოსავლეთის სლავებს და ბევრ სხვა ჩამორჩენილ ტომებსა და ხალხებს მათი ტერიტორიებით; აღმოცენდება რუსეთის იმპერია, რომლის მემკვიდრე, ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ, საბჭოთა კავშირი იქნება. სხვა ხალხებს — გოთებს, ბიზანტიას და ნორმანებს სლავების ისტორიაში აბსოლუტურად არავითარი როლი არ უთამაშიათ, პირიქით, სლავები და განსაკუთრებით რუსი ტომები ახდენენ მათზე ძლიერ კულტურულ გავლენას.

რუსეთი მთელი თავისი ისტორიის მენძილზე, ამტკიცებენ საბჭოთა შეცნირები: — მონგაიტი, ტრეტიაკოვი, რიბაკოვი, ფედოროვი და სხვები, უდიდეს როლს თამაშობდა ევროპის მიმართ, მან ეს უკანასკნელი მონგალების შემოსევისაგან იხსნა. კიდევ უფრო კეთილშობილური როლი ითამაშა რუსეთმა პატარა ხალხების მიმართ, რომლებიც მან შეიერთა. ყველა შესანიშნავი აღმოჩენები და გამოგონებები, რომელნიც თანამედროვე კულტურას დაედვენ საფუძვლად, საბჭოთა ისტორიკოსები რუსის ხალხს მიაწერენ, ხოლო მსოფლიო კულტურის რუსეთზე გავლენას სრულიად უგულვებელყოფენ. ამ მიმართულებით საბჭოთა ხელმძღვანელობა დაუზოგავი ბრძოლას მიმართავს დასავლეთისადმი ქედის მოზრისა და უთვისტომო კოსმოპოლიტიზმის წინააღმდეგ.

ეს ფანტასტიური ისტორიული კონცეპცია აღმოსავლეთ სლავების ფორმირებისა, 1950 წლიდან სავალდებულო იყო და არის ყველა სკოლის, უნივერსიტეტის და ინსტიტუტებისათვის. მისი ამოცანაა სხვა ხალხების მოსახლეობის ცნობიერებაში, რუსი ხალხის უპირატესობის ჩანერგვა ამ კონცეპციის მეშვეობით იმაშია, რომ ის ანვითარებს და ავრცელებს არა ჯანსაღ შოვინისტურ მის წრადებებს და საბჭოთა კავშირს მისი პოლიტიკური პროგრამით სახავს, როგორც რუსი ხალხის ისტორიის ბუნებრივ გაგრძელებათ.

მაგრამ ერების გადაგვარებისათვის ყველა საშუალებებზე უფრო მჭრელი და ნამდვილი იარაღია მცირეწლოვანთა რუსულ ენაზე აღზრდა. უკანასკნელ დროს, საბჭოთა ხელმძღვანელობამ რუსიფიკაციას თეორიული დასაბუთებაც მოუძებნა. ეს თეორეტიკოსები გვასწავლიან, რომ ყოველი დარგის განვითარება ეროვნული ხაზით — ანაქრონიზმია. ნელ-ნელა უნდა დაიწყოს ერთ დიდ კომუნისტურ ერში ერთა დაახლოება — შერწყმა. ცხადია, ეს იქნება რუსის ერი. მაგრამ, გრძნობენ რა სიმძნელებს, გადასწყვიტეს ეს საფეხურებით მოზდეს. ჯერ მონათესავე ენები უნდა ალაპარაკდეს რუსულ ენაზე, რითაც გადაწყდება უკრაინისა და ბელორუსიის ბედი. ხოლო ისეთ მხარეებში, სადაც ენათა ნათესაობა არ არსებობს, ეთქვათ, ამიერკავკასიაში, აქ საერთო ენათ რუსული ენა გამოდგება და ამნაირად ყველა გზა მოსკოვისაკენ მიემართება.

როგორია ამ მოვლენაზე რეაქცია საბჭოთა კავშირში შემავალი ერების?

არ ვფიქრობთ, რომ სამსხვერპლოდ გამზადებული ბატკანი თავისით დასდებს კისერს დანაზე. ამით აიხსნება, რომ დღეს საბჭოთა კავშირი დიდი ქიდილის მოედნად არის გადაქცეული. მაგრამ პატარა ერების სამწუხაროდ და სავალალოდ, ცენტრი თავის რუსიფიკატორულ პოლიტიკას ნაციონალურ რესპუბლიკებში, ადგილობრივი პარტიული ორგანოების მეშვეობით ატარებს. ამ პარტიული ორგანოების ხელმძღვანელების კეისლინგებად გამოცხადება არ იქნებოდა სწორი, რადგანაც მათშორის არიან ისეთები, რომელნიც გულწრფელად ლაშობენ ადგილობრივი მოსახლეობის მწარე ხედვრის შემსუბუქებას. მადრამ ფაქტი, მაინც ფაქტად რჩება; ისინი ქედს იხრიან ცენტრის გადაწყვეტილებების წინაშე. ამაზე მეტყველებს, თუ გნებავთ, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილება რუსული ენის საბჭოთა კავშირის ხალხთა, როგორც ურთიერთობის ენაზე.

ეს ყურთასმენის წამლები დადგენილება ავალეზს საბჭოთა საქართველოს განათლების სამინისტროს ქართული ზოგად საგანმანათლებლო სკოლების სასწავლო გეგმების გადაშინჯვას, რათა გაზარდოს რუსული ენის შესასწავლად განკუთვნილი სასწავლო საათების 1973-1974 სასწავლო წლიდან და შემოიღოს რუსული ენის სწავლება პირველი კლასიდან. მოტივი? რუსული ენა საბჭოთა კავშირის ხალხთა შორის ურთიერთობის ენაა და მეორეც, როგორც ედუარდ შევარდნაძემ ბრძანა ერთხელ — რუსული ენის გარეშე თანამედროვე ტექნოლოგიის ათვისება შეუძლებელიაო.

ორივე მოტივი, აშკარად, ყურით მოთრეულია და ბოლომდე მოუფიქრებელი. ჯერ ერთი, თუ თანამედროვე ტექნოლოგიის ათვისება რომელიმე უცხო ენის ათვისების აუცილებლობას მოითხოვს, ის უნდა იყოს ინგლისური, გერმანული ან ფრანგული, რადგანაც ამ დარგში საბჭოთა კავშირი ძალზე ჩამორჩენილია და დასავლეთს ევადრება ხელგაშვერილი — აბა, შენ იცი დამეხმარე როგორმეო. მეორეც, არავინ არ უარყოფს ჩვენი დიდი მეზობლის ენის შესწავლას, მაგრამ მისი შესწავლა უნდა ხდებოდეს ქართულ სკოლაში, როგორც ერთ-ერთი უცხო ენის შესწავლა და არა როგორც გაბატონებული ენის, მით უმეტეს, რომ რუსული ენის დანერგვით კრემლის ხელმძღვანელობა ცდილობს ერების თვითმყოფობისა და კულტურულ—ეთნოგრაფიულ ზღუდეების მოშლას.

თვით დადგენილება, აშკარად, გზას უხსნის საქართველოში რუსიფიკაციას. ეს კი ვერ თავსდება თვით პოლიტიკურ შეცდომისა და მარცხის ფარგლებში; ის ეროვნული კატასტროფის სახეს ღებულობს.

ამ დროს გამოდიან ეროვნული ნიჰილიზმის უგუნური ბაიუშეები და ურცხვად გაიძახიან საბჭოთა კავშირში ერთა თანაბარუფლებიანობა არსებობსო. საბრალოთ ავიწყდებათ, რომ მოუფიქრებელ თავხედობიდან სასაცილომდის მეტად მცირე მანძილია.

შ. კალანდაძე.

მშავანაძის გადაყენება და შემარღნაძის

ა ლ ზ ე მ ე ბ ა

ის რაც ჩვენს სამშობლოში ხდება, ჩვენთვის ყოველთვის საინტერესო უნდა იყვეს და ყოველგვარი ცვლილებანი ჩვენი ყურადღების ცენტრში უნდა მოექცეს აუნდაც იქაური რეჟიმი არავითარ ხელშესახებ განვითარებას არ ვანიცდის და ევოლუცია წინასწარ გამოირიცხვლია, საბჭოთა წყობილება ძალზე კონსერვატიულია, წინ არ მიდის და სულ ერთ ადგილს ტკეპნის. კომუნისტური პარტიის მდივნები და მთავრობის შემადგენლობა ზორიგეობით იცვლება, სხვადასხვა სიტუაციასთან დაკავშირებით, რაც უმრავლესობისათვის გაუგებარი რჩება. როგორც საყოველთაოდ ცნობილია, საქართველოს პირველი მდივანი და სხვა პასუხისმგებელი პირები მოსკოვის ბრძანებით და შერჩევით ინიშნებიან და არა საქ კომ. პარტიის ორგანიზაციების არჩევით. ისინი ცენტრის დირექტივებით მოქმედობენ და სრულებით ანგარიშს არ უწყევენ ადგილობრივ ნება სურვილს, ქართველი ხალხის ინტერესებს აბუჩად იგდებენ და მოსკოვის საამებლად ყოველგვარ სიგლაზეს ჩადიან. მათ არავითარ შემთხვევაში საკუთარი, პიროვნული პოლიტიკის წარმოება არ ძალუძთ, მათ მოსკოვიდან დანიშნული მეორე მდივანი (რა თქმა უნდა რუსი) ფხიზლად უთვალთვალებს. ეს არის ქართველ კომუნისტების მიმართ უნდობლობის ცხადი დამადასტურებელი ფაქტი. როგორც მოგეხსენებათ, ეს პირველად ხრუშჩოვმა დააწესა და ახლა ყველა ეროვნულ რესპუბლიკებში შემოღებულია. მათ მოვალეობას შეადგენს ადგილობრივ კომუნისტების თვალყურის დევნება და ოდნავ ბრძანების შეუსრულებლობის გამო დაბეზლება სავალდებულოა.

ასეთი დასმენის მსხვერპლი გახდა ვ. მჭავანაძე, მართებულად თუ უმართებულად, ამას ჩვენ არ ვიძიებთ. ჩვენ მის დამცველად ვერ გამოვალთ, ჩვენ მხოლოდ ფაქტებს ავლნიშნავთ.

მალე ორი წელიწადი შესრულდება, რაც მჟავანაძე მოსკოვის მიერ გადაყენებულია და პირველ მდივნის ადგილზე დასმულია ედუარდ შევარდნაძე. მჟავანაძე, თითქმის, ოც წელიწადს იყო საბჭოთა საქართველოს ბატონ-პატრონი და ავად თუ კარგად უძღოდა პარტიას. იყო პოლიტიბიუროს წევრობის კანდიდატი. იგი ხრუშჩოვმა, სტალინის სიკვდილის შემდეგ, საქართველოში მოაგვლინა. არა ნაკლებ ერთგული და გამტარებელი იყო ცენტრის პოლიტიკისა, ვიდრე წინანდელი მდივნები. მისი კარიერა არც თუ მთლად რთულია: საქართველოს დაპყრობის შემდეგ, ტფილისის სამხედრო სკოლის კურსანტია. აქედან მოკიდებული რუსეთში წითელ არმიაში მსახურობდა პოლიტბელის თანამდებობაზე, ე. ი. პოლიტიკურ კომისრად.

ომის დროს გახდა, მგონი, გენერალი და ლენინგრადის დამცველ ჯარის პოლიტიკურ კომისრად. არაფერი არ ვიცი თავე რით ისახელა, როცა ბერია მოსპეს. საქართველოში მის მიერ დაყენებული პარტიის მდივნები და მთავრობის წევრები ყველანი გადააგენეს, ზოგი კიდევ დახვრიტეს, მაშინ მჟავანაძე ტფილისის წარმოგზავნეს და ისიც ენერგიულად შეუდგა მოსკოვისათვის არა საიმედო პირების პარტიის რიგებიდან გაწმენდას. თითქმის მთლად შესცვალა ცენტ. კომიტეტის და რაიონულ კომიტეტის მდივნები, ენერგიულად ატარებდა მოსკოვის მიერ მითითებულ პოლიტიკას. ერახანს ბერიას მომხრეები ფარულ წინააღმდეგობას უწევდენ, ხოლო იგინი ადვილად ალაგმა, ებრძოდა ქართულ ნაციონალზმის ყოველგვარ გამოვლენას, დაჟინებით მოუხმობდა ქართველებს რუსეთის ერთგულებიასაკენ, დიდსა და პატარას მოუწოდებდა ესწავლათ რუსული ენა, დაწაფებოდენ მის კულტურას, და ღრმად შეეთვისებიათ ლენინიზმის მოძღვრება. სასტიკად ებრძოდა ქართველ მწერლებს და მეცნიერებს, ამან უკმაყოფილება და პასიური წინააღმდეგობა დაბადა; შემდეგ, როგორც იქნა ისინი პატარ-პატარა დათმობით მაინც შემოიპირავა,

ისინიც „წაწოლის“ გზას დაადგენ, . ამით მან საფრძნობ შედეგს მაინც ვერ მიაღწია, და ასე გადიოდა წლები. ინტელიგენციის მიმართ ხან შეტევა, ხან დაყუავება. თვითონაც დაიღალა და მოდუნდა, ოჯახის და მახლობელ ნათესავეების გავლენის ქვეშ მოექცა. პარტია და სახელმწიფო აპარატები მისდა შეუქმნევლად „ლიბერალიზმის“ გზით დაქანდა. ბიუროკრატია და კარიერისტები დალხინების და ფუფუნების ქაობში ჩაიძირენ. მექრთამეობამ და სახელმწიფო ქონების დატაცებამ მასიური ხასიათი მიიღო. ყველაში მესაკუთრულმა ტენდეციამ გაიღვიძა, საბლების, აგარაკების, და ქონების შექმნა ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. ამას დაემატა გაცხოველებული სპეკულაცია და ფულის მოხვეჭა, და შეიძლება ასე ეთქვათ, კომუნისმის მატერიალურ ბაზის მექმნის წიაღში კერძო პირების ხელში დიდი კაპიტალი გროვდებოდა, რითაც ხელისუფლების წარმომადგენლებს იოლად ყიდულობდენ. იყო შემთხვევები, რომ მათ მფარველ მინისტრებსაც კი აყენებდენ, ხელის შეშლელს კი კისერს სტეხდენ და თავიდან იშორებდენ.

ეს შეუქმნეველი არ დარჩენილა. მეორე მდივანი – რუსი ამ ბნელ საქმიანობას მოსკოვს საიდუმლოდ ატყობინებდა, შევარდნაძე, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრი მას ინფორმაციას აწვდიდა და ამით კარიერის გასაკეთებლად გზას იკაფავდა.

მოსკოვმა გამოსაძიებლად სარევიზიო კომისია მოაგვლინა. რევიზიამ დიდი ბოროტმოქმედებანი აღმოაჩინა: გაფლანგვა, ქონების დატაცება, მექრთამეობა, სპეკულაცია და სხვ. რეზულტატი ამ გამოძიებისა ის იყო რომ, მოსკოვმა მკაცრი დადგენილება გამოიტანა ტფილისის ცენტ. კომიტეტის მიმართ, გაკიცხა მისი საქმიანობა და ხელმძღვანელობაში უუნარიანობა, ისე რომ დადგენილება, თითქოს, მხოლოდ ტფილისის კომიტეტს შეეხებოდა და არა მთლიანად საქართველოს კომუნისტურ პარტიას, თუმცა დადგენილება საჯაროდ არ გამოცხადებულა, ხოლო ის ვანიხილეს პარტიულ ორგანიზაციებში და

მოსკოვის მითითებით ძველი ხელმძღვანელების საქმიანობა და პარტიული მუშაობა მკაცრად დამგმეს.

ამ გარემოებამ მკეანაძის მდგომარეობა ძალზე შეარყია, ის მოხსნეს და მოსკოვის ძველ კომუნისტების თავშესაფარში მოათავსეს.

უცხოეთის პრესის თანახმად, მკეანაძე არ დაუსჯიათ მარტო პარტიაში უხეირო მუშაობის და სახელმწიფო ორგანოებში ბოროტმოქმედების აღმოჩენის გამო, რადგან ასეთ რამეს რუსეთშიაც აქვს ადგილი, არამედ მისი მოხსნის საქმეში დიდი როლი ითამაშა მეორე მდივნის ინტრიგებმა და დაბეზღებამ; თითქოს მკეანაძე ბოროტმოქმედთ ხელს აფარებდა და წყალობდა.

სინამდვილე ის არის რომ, როგორც ახლა ისე წინად საქართველოს ქალაქები სურსათ-სანოვაგის და უსაქიროეს საქონლის ძლიერ ნაკლულებას განიცდიდენ და ცდილობდენ რუსეთში იმ რაოდენობით აღარ გაეზიდათ ხორცეულობა, ხილი და ბოსტნეულობა, რათა მცხოვრებთა უკმაყოფილება შეენელებიათ. მკეანაძემ სწორედ მეორე მდივნის მეოხობით ეს ვერ შესძლო.

როგორც საყოველთაოდ ცნობილია, საქართველოში ოფიციალურად არსებობს პროდუქციის შემყიდველი ბიურო, მაგრამ მის გვერდით სხვა არა ლეგალური (უარულად ნებადართული) ბიუროც არსებობს. ეს მეორე ბიურო შესდგება რუსს-ქართველთა სპეკულიანტებისაგან, ისინი სურსათ-სანოვაგეს დიდი რაოდენობით იძენენ და რუსეთის ქალაქებისკენ მიეზიდებიან გასასყიდლად. რასაკვირველია, საკომისიო წილსაც ხარბად ლებულობენ, ასეთი კომბინაციური ვაჭრობით რუსეთის სამრეწველო ცენტრებში სხვადასხვა ნაწარმით ბაზარი ივსება, კერძო პირები ჯიბეს ისქელებენ, რუსეთისათვის კი ძალზე ხელსაყრელია. თითქოს ასეთი კომისიონერი სპეკულიანტები კანონით ისჯებიან, ხოლო მათ სასამართლოში არავინ აძლევს, გაზეთებში კი ცხადდება, რომ მათ ვითომ აპატიმრებენ, სინამდვილეში კი ისინი თავიანთ საქმიანობას კვალინდებურად განაგრძობენ; სატვირთო მანქა-

ნებს და თვითმფრინავებსაც კი იყენებენ ტრანსპორტისათვის. ამ ნიადაგზე წარმოიშვა დავა მჟავანაძესა და მეორე მდივნის შორის. მოსკოვის წყალობით, როგორც ყოველთვის, მეორე მდივანმა გაიმარჯვა, მაგრამ ქართველების თვალსაზრევად ორთავენი გადააყენეს და არც მთლად შემთხვევით, პირველ მდივნად შევარდნაძე ამოატივტივეს, მეორე მდივნად მას ჩურკინი დაუნიშნეს. ამრიგად ქართველ კომუნისტების მიმართ უნდობლობა კვლავ გრძელდება.

შევარდნაძე ჯერ დიდბანს კომკავშირის პირველი მდივანია. მჟავანაძესთან იმთავითვე ოპოზიციაშია; დაუსახელებლათ, სისტემატიურად ამხელს ორგანიზაციაში მის უნიათო მუშაობას. ბრალს დებს ახლო ნათესავების და კარიერისტების მფარველობაში. შემდეგ იგი მეორე მდივნის წყალობით შინაგან საქმეთა მინისტრი ხდება. აქ მისთვის ფართო ასპარეზი გადაიშალა მჟავანაძის და მისი გარემოცვის დასამხობად.

მალე ორი წელიწადია, საბჭოთა საქართველოში ბრეჟნევის ნაცვალაია და როგორც ახალი ცოცხი გულმოდგინეთ ჰგვის, მჟავანაძის ყოფილ ბიუროკრატიას კრიკაში უდგას და მათ აღარსად აქაჭანებს. ზოგს აქვეითებს და ზოგს კი ყამირ მიწების ასათვისებლად ყაზახისტანში მიერეკება.

ამის გამო მჟავანაძის მომხრეებმა მტრული გამოსვლაც კი მოაწყვეს შევარდნაძის წინააღმდეგ, რომ „ცილის წამებათ“ ეს არ ჩაგვეთვალოს, დავასახელებთ ზოგიერთ ფაქტს. მაგალითად ოპერის თეატრის დაწვა, მეგობრობის ძეგლის აფეთქება, შევარდნაძის მიმართულეობით „დამბაჩის“ გასროლა და სხ.

რა თქმა უნდა, მეჭრთამეობა, გაფლანგვა, სპეკულაცია, საბელმწიფო ქონების დატაცება და სხვა ბოროტ-მოქმედებანი ვერც შევარდნაძემ მოსპო, მოსპო კი არა, კიდევ მეტი რაოდენობითაც კი გაიზარდა. ეს ყველა მანკიერება საბჭოთა კავშირში მეტად ფართოდაა გავრ-

ცლებული, რაც საბჭოთა მეურნეობის სისტემის ნიადაგზე აღმოცენებული, ამის აღმოსაფხვრელად საჭიროა არა ადმინისტრაციული ზომები და მდივნების შეცვლა არამედ მთელი საბჭოთა ეკონომიური სტრუქტურის შეცვლა და მისი ძირიან-ფუძიანად გარდაქმნა.

ს. ჳირაქაძე.

ზოგი რამ ქართველ ქალებზე

საკონცენტრაციო ბანაკებში.

საბჭოთა კავშირის საკონცენტრაციო ბანაკებზე ბევრი მოგონება ნარკვევი თუ რომანი დაწერილა იმ ჰირების მიერ, რომლებმაც ათეული წლები გაატარეს „სოციალისტური“ საბჭოეთის ჯოჯოხეთში. ამ შრომების ღირსება ისიც არის, რომ მათი ავტორები, უმთავრესად, არიან ყოფილი გამოჩენილი კომუნისტები სხვა და სხვა ქვეყნიდან, ისე როგორც თვით საბჭოთა კავშირიდან. რა თქმა უნდა, ყველა ეს ნარკვევი, მოგონება თუ რომანი, უმეტესად უცნობია საბჭოთა კავშირის მოსახლეობისათვის, მაშასადამე ქართველი ხალხისათვისაც. აქვე მკითხველს მოვახსენებ იმასაც, რომ მასალების ვარკვეული ნაწილი საბჭოთა კავშირში გამოდის ე. წ. „თვით გამოცემის“ გზით, მაგრამ მათი გავრცელება მოსახლეობის ფართე ფენებში შეუძლებელია, გასაგებ მიზეზთა გამო.

საბჭოთა საკონცენტრაციო ბანაკებზე და „ჩიკა“, „გეპუუს“ „ემგებეს“ მუშაობის მეთოდებზე დეტალური მოგონებები და ნარკვევები გამოაქვეყნეს ისეთმა კომუნისტებმა, როგორც იყვნენ არტურ კესტლერი, — ესპანეთში სამოქალაქო ომის დროს საბჭოთა პროპაგანდის მიერ ჩეპაევად წოდებული ილ კამპესიო, ცნობილი პუბლიცისტი მარგოლინი და სხ. შრომა ამ უკანასკნელისა, რომელმაც მრავალი წელი გაატარა ხსენებულ ბა-

ნაკებში და რომელიც განთავსუფლების შემდეგ დასავლეთში აღმოჩნდა, ჩვენთვის, ქართველებისათვის, იმთავითვე არის საინტერესო, რომ ის სიმბათიურად მოგვივითბრობს პატიმარ ქართველების დარბაისლურ და მამაცურ საქციელზე.

საკონცენტრაციო ბანაკებზე კაპიტალური შრომები გამოაქვეყნეს აგრეთვე საბჭოთა მწერლებმაც. აქედან უნდა გამოიყოს ნობელის პრემიის ლაურეატის, მწერალ ალექსანდრე სოლჟენიცინის რომანი „ივან დენისოვიჩის ერთი დღე“ რომელიც, სხვათა შორის, ქართულ ენაზეც ითარგმნა, და „გულაგის არქიპელაგი“, ანდრეი ავალარიკის „არა სასურველი მოგზაურობა ციმბირში“ და სხვა მრავალი. აქ აღარ შეეჩერდები ისეთ წერილებსა და მიმართევებზე საერთაშორისო საზოგადოებრიობისადმი, რომელთა ავტორებია აკადემიკოსი სახაროვი და სხვები და რომლებიც ეხებიან საბჭოთა საკონცენტრაციო ბანაკების სისტემას.

ემ წერილში მკითხველის ყურადღებას შევჩერებ მხოლოდ 1967 წელს დასავლეთში გამოქვეყნებულ მწერალი ქალის ევგენია სიმონის ასულ გინზბურგის შოგონებებზე საბჭოთა საკონცენტრაციო ბანაკების შესახებ — „სასტიკი მარშრუტზე“, რომელიც ითარგმნა ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ და სხვა ენებზე. ეს წიგნი იმით არის საინტერესო, რომ ევგენია გინზბურგმა ჯერ ერთი, 18 წელი გაატარა საკონცენტრაციო ბანაკებში, უმთავრესად ციმბირში, და მეორე — იგი თავის მოგონებებში აღწერს მხოლოდ ქალების ეტაპს ციხიდან საკონცენტრაციო ბანაკებისაკენ.

30 წლის ასაკში მყოფი ევგენია გინზბურგი დაპატიმრებული იქნა 1937 წელს და განთავსუფლებული 1955 წელს. მას შემდეგ იგი ცხოვრობს საბჭოთა რუსეთში. „სასტიკი მარშრუტი“ არის ისტორია ინტელიგენტი, მამაცი და დევნილი, თუმცა უდანაშაულო ადამიანისა, რომელსაც წაართვეს ქმარი, შვილები, კერა პროფესია; და ეს ყველაფერი მოხდა მის საკუთარ ქვეყანაში... მაგ-



რამ ის ცოცხალი დარჩა, ფიზიკურად და მორალურად შეურყეველი. მან განთავისუფლების შემდეგ გადასწყვიტა სიმართლე დაეწერა საკონცენტრაციო ბანაკებზე და საბჭოთა კავშირში არსებული ცხოვრების პირობებზე. მან ეს შესანიშნავად შესძლო წიგნში, რომელიც დასავლეთის საზოგადოებრიობამ მიიღო ჩვენი დროის ისტორიულ დოკუმენტად

თქვენს ყურადღებას შევაჩერებ ევგენია გინზბურგის წიგნის ერთ თავზე, რომელსაც ეწოდება „მეშვიდე ვაგონი.“

ევგენია გინზბურგი ამ თავში აღწერს პატიმარი ქალების გადაყვანას იაროსლავის ციხიდან ციმშირის ერთ-ერთ ბანაკში. აი, რას წერს იგი ციხეში არსებულ ცხოვრების პირობებზე: „იაროსლავის საკავშირო ციხეში, ცალკეულ საკანში მოთავსებული პატიმარები სდუმდნენ 730 დღის განმავლობაში. ექვსი წლის მანძილზე, ყოველდღიურად, ხმარებაში იყო მხოლოდ 5 სიტყვა: „ადგომის დროა“; „ადუღებული წყალი“; „გასეირნება“; „ვახშამი“; „დაწოლის დროა.“

ევგენია გინზბურგი მოგვითხრობს, თუ როგორ მოხდა პატიმარ ქალების გადაყვანა იაროსლავის ციხიდან ბანაკში. ქალები მოთავსებულნი იყვნენ რკინისგზის ვაგონებში, წარწერით — სპეციალური მოწყობილობა“. ეს სპეციალური მოწყობილობა სხვა არაფერი იყო, თუ არა პატიმარი ქალები, რომლებიც გარკვეულ ბენდიერებას განიცდიდნენ იმით, რომ მარტო არ იყვნენდა ცოტაოდენი ლაპარაკის უფლება ჰქონდათ ერთმანეთში, რაც დიდად განსხვავდებოდა იაროსლავის ციხეში არსებულ პირობებისაგან.

პატიმრებს შორის ორი ქართველი ქალი იმყოფება. ევგენია გინზბურგი მათ შემდეგ დახასიათებას იძლევა: „თამარ ვარაზაშვილი, პატიმრებში თამარ მეფედ წოდებული, ამაყად იჭერს თავს. იგი 1935 წლიდან იმყოფება პატიმრობაში. თამარი ქალიშვილია ცნობილი კრიტიკოსის. მას ნაციონალისტობას აბრალებენ. თამარ ვა-

რაზაშვილი თავის-თავს თვლის ნამდვილ პოლიტიკურ პატიმრად და ზევიდან უცქერის 1937 წლის პატიმრების გარკვეულ კატეგორიას, იმისთვის, რომ მათ არ გააჩნიათ დამოუკიდებელი აზროვნობის უნარი; იმისთვის, რომ ისინი არ მოითხოვენ არამედ თხოვნით მიმართავენ ჯალათებს სამაგალითოა, განაგძობს გინობურგი, თამარის მხნეობა, ჭირთა შინა გამაგრების უნარი და უცნაურად გაათეცებულნი ენერგია.

ნინო ღვინიაშვილი იყო თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრის მხატვარი. მას ყოველივე „იტყვა, გინდ რუსულად, გინდ ფრანგულად, ისე ლამაზად, ადვილად, გემოვნებით გამოუდიოდა, რომ არავინ არ იყო ნაწყენი მაშინაც კი, როდესაც ნინო საყვედურს ამბობდა. პირიქით, წერს ევგენია გინზბურგი, მან მოგვხიბლა ჩვენ ყველა. შეიძლება იმიტომ რომ, ნინო იყო კოსტა, ლამაზი საინტერესო ქალი. მას განსაკუთრებით ლამაზი და მიმზიდველი მწვანე თვალები ჰქონდა.“

შემდეგ, ევგენია გინზბურგი წერს: „დალამდა, მაგრამ ქალებს არ სძინავთ და ჩუმად საუბრობენ, განსაკუთრებით კავკასიელები და გერმანელები. თამარ ვარაზაშვილი, ჩანს, კმაყოფილია იმით, რომ გერმანიის კომპარტიის წევრს, მარია ცახერს აინტერესებს საქართველოს ისტორია და საჭირო კითხვებს აძლევს თამარს. თამარი ჩუმად მოუთხრობს: „მაღალი კულტურა... ქრისტიანობა მეოთხე საუკუნიდან... შოთა რუსთაველი... ჩემი ზალხი, ამაყი, მამაცი, უშიშარი... ცოტათი ეპიკურელი...“

სხვათა შორის, განაგრძობს ევგენია გინზბურგი, ნინო ღვინიაშვილმა ბანაკში მანქანის ავარიის შედეგად დაჰკარგა მარჯვენა თვალი, მისი ლამაზი, მწვანე თვალი; და როცა დამწუხრებულნი მის სანახავად ბანაკის საავადმყოფოში მივედით, მან თვითონვე გვითხრა: „ნუ წუხდებით, გოგონებო! ისეთი ცხოვრების სანახავად როგორიცაა ჩვენი, ერთი თვალიც საკმარისიაო.“

ქალბატონ ღვინიაშვილის ამ ხატოვან თქმას საკონცენტრაციო ბანაკებში გამომწვევდელთ უნუგეშო მდგომარეობაზე, როგორც ამბობენ, კომენტარი არ სჭირდება.

ასეთია ეს ცოცხალი და მეტყველი დოკუმენტი, რომელიც ქართველი ქალის სიდინჯესა, მოთმინებასა და უპარეს სულგრძელობაზე მეტყველებს.

ასეთი ქალები ქმნიდნენ საქართველოს ისტორიას, კედდნენ ქართველი ხალხის მომავალს და არც მათი განაწამები ცხოვრება ჩაივლის ფუჭად, განთავისუფლებული და მადლიერი ხალხი მათ ძეგლს დაუდგამს და წმიდანებად შერიცხავს.

გულნარა ურატაძე.



მცირე რამ გრიგოლ რობაქიძის შესახებ

მის ხანგრძლივსა და ცვალებად ცხოვრების მანძილზე, განსვენებულმა გრიგოლ რობაქიძემ, საკმაოდ ღრმა და შესამჩნევეი კვალი დასტოვა ჩვენს მოდერნულ ქართულ მწერლობაში. ვლაპარაკობ—„მოდერნიულ მწერლობაში“ და არა უბრალოდ „ქართულ მწერლობაში“ ან „ეროვნულ მწერლობაში“. აქ ხაზი ესმება სიტყვას—„მოდერნულს“, რაც გულისხმობს: ახლებულს, პროგრესაულს, წამყვანს ან გეზის მიმცემს. ეს კი, დიდათ მნიშვნელოვანია ყოველი ერისათვის.

რაგინდ დიდი და მაღალი კულტურის მქონე არ უნდა იყვეს ესა თუ ის ერი, რაგინდ დიდ პოეტებისა და პოემების რიცხვი არ უნდა ამკობდეს მისი დიდების სალაროს, თუ ეს ერი ხელოვნებაში საერთოდ და კერძოდ მწერლობაში ვერ გადასდგამს ახალ ნაბიჯს, ვერ იტყვის ახალ სიტყვას, ასეთი ერის შემოქმედება თუ მკვლრად არა, სულ მცირე რომ ვთქვათ: ერთ ადგილზე გაყინულად და ჩამორჩენილად უნდა ჩაითვალოს.

გრიგოლ რობაქიძის ერთ-ერთ დამსახურებად სწორედ ის უნდა ჩაითვალოს, რომ მან ერთ პირველთაგანმა გადასდგა ამ მიმართულებით ნაბიჯი და ახლებური ჟანრით გამართა ჯერ შაირი და უფრო მოგვიანებით მოდერნული, თავისებური მეტყველებით დასწერა მრავალი რო-

მანი, მოთხრობა და ესსაი, საქართველოში და საზღვარგარეთ. მის ნაწერებში—აზრიც, შინაარსიც, სულოც და ფორმაც მხოლოდ და მხოლოდ ქართული და ეროვნულია, მაგრამ ამავე დროს ის მომხიბვლელი და მისაღებია სხვა ერთათვისაც რომელთაც ახასიათებთ დიდი წარსული, მაღალი ზნეობა და ტრადიციები.

მის წინამორბედ მწერლებიდან რობაქიძე წერის ფორმითა და მეტყველებით დიდად განსხვავდება. ის მოდერნული მწერალია, ამისათვის საჭიროა დიდ ნიჭს გარდა ცოდნა და შესწავლა ეროვნულისა და საერთაშორისო კულტურისა და ისტორიისა.

ამ მიმართულებით გრიგოლ რობაქიძის გარდა, ქართველ მწერლებიდან დიდ წარმატებას მიაღწია კონსტანტინე გამსახურდიამ. მათ ორივეს — გრიგოლ რობაქიძისა და კონსტანტინე გამსახურდიას მიერ დაწერილ — დასურათებულმა თარგმნებმა უცხო ენებზე, — ცნობა და სახელი მოუპოვა; როგორც ამ ორ ავტორს, ასევე ქართველ ხალხს, როგორც თანამედროვე მაღალი კულტურის მქონე ერს.

დიდმა გოეთემ, როცა ის გაეცნო ძველ სპარსელ პოეტებს და პოეზიას, დიდი ქება-დიდება შეასხა მათ და მათზე ლექსების მთელი ციკლი დასწერა, რითაც სახელი მოუხვეჭა მათ დასავლეთის მსოფლიოში. მაგრამ რას იტყოდა გოეთე, ან სხვა ვინმე დიდი მწერალი თანამედროვე სპარსეთის პოეზიაზე? საადის, ჰაფიზის ან, ფირდაუსის შემდეგ? — ალბათ ბევრს ვერაფერს.

თუ სახელი და დიდება დამოუკიდებელ დიდ ერებისთვის ასე საჭიროა, მით უმეტეს ეს აუცილებელია ისეთი პატარა და დაპყრობილი ერისათვის, როგორიცაა საქართველო. ქართველი ხალხის დიდზე დიდ უმრავლესობას; მისი მწერლობისა და ხელოვანთა ჩათვლით, წართმეული აქვს უფლება გამოსთქვას ის, რაც მას გულთუდევს, და უნდა დაემორჩილოს დამპყრობელის კარნახს. ასეთ ვითარებაში კი, ლტოლვილობაში მყოფ ქართველი მწერლის თუ ხელოვანის პირდაპირი მოვალეობაა საუბრის

და აღიაროს სიმართლე მისი ხალხის მდგომარეობაზე, თუნდაც და მის ნათქვამში ოდნავ სუბიექტური მიდგომაც იყოს. ასეთ თქმაში, განსაკუთრებით დასაფასებელია არა თუ ამა თუ იმ რეჟიმის ვულგარული ლანძღვაგინება, არამედ მწერლის მიერ მოდერნულად დაბატული გულწრფელი სურათი. არსად არც გრიგოლ რობაქიძეს და არც კონსტანტინე გამსახურდიას ვულგარული და მდაბიური ენით არ ვაუღლაშქრიათ მათ მოწინააღმდეგეთა მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ კონსტანტინე გამსახურდიას ზოგ ნაწერში გამოთქმულია ლტოლვილობაში მყოფ ქართველისათვის ზოგი მიუღებელი აზრი. აქამდე მე არსად გამოგონია ემიგრაციაში, რომ კონსტანტინე გამსახურდიას „ზოგაის მინდია“ „გოეთეს ცხოვრების რომანი“, ანდა „დიდოსტატ კონსტანტინეს მარჯვენა“ ვინმეს ეძაგებოდა და ეს იმიტომ, რომ თავისუფლებაში მხტოვრებ ემიგრაციას კარგად ესმის გამსახურდიას ღირსება და ისიც თუ რა პირობებში სწერს ის.

ამის თქმა არ შეიძლება, სამწუხაროდ გრიგოლ რობაქიძეზე. ემიგრაციაში ის ღირსეულადაა დაფასებული სამშობლოში კი. მას დღემდე ებრძვის რაჟიმი და მის ნაწერებს კრძალავს და ეს ხდება იმის მტკიცებით, თითქოს და ის პოლიტიკური რწმენით „ფაშისტი“ ყოფილიყოს, და როგორც მწერალი „დიდს არაფერს წარმოადგენდეს“. ეს მათი მტკიცება რომ სიმართლეს შეეფერებოდეს, მაშინ საქართველოს მმართველებს რაში დასჯირდებოდათ ამდენი დავიდარაბა და განგაში, ისინი თავისუფლად გააფრცელებდნენ გრიგოლ რობაქიძის ნაწერებს და თვით ხალხი დაინახავდა თუ „დიდ თუ მცირე რამეს წარმოადგენენ ისინი“.

რამდენიც არ უნდა იყვირონ და აძაგონ გრიგოლ რობაქიძე და მისი ნაწერები, — მისი საბოლოო შეფასება მოხდება მიუდგომელი ისტორიისა და ქართველი ხალხის მიერ. და თუ პირადათ აქ, ორიოდ სიტყვას ვაძბობ განსვენებულის შესახებ, არა მისი პოლიტიკური ვინაობის შესახებ, რასაც მას არასდროს არ ვაკადრებდი, არა-

მედ იმიტომ, რომ მასთან მქონდა ხშირი მიწერმოწერა და არსად არც ერთ წერილში არ სჩანს მისი რაიმე სიმბატია „ფაშიზმის“ ან სხვა სახის ტოტალიტარული რეჟიმის მიმართ, როგორც ვამბობ, ეს წერილი არ შეადგენს გრიგოლ რობაქიძის დაცვას, განსვენებულს ეს არ ესაქიროება. მაგრამ მეტად განსაცვიფრებელია ის ფაქტი, რომ მოსკოვის ბოლშევიკური მთავრობა გაცილებით ჰუმანიურად და ღირსეულად ეპყრობა მის სხვაგვარად მოაზროვნე მწერლებს, მეცნიერებს და ხელოვნებს, ვიდრე ქართველი კომუნისტები ექცევიან ჩვენს გრიგოლს.

მწერალმა სოლჟენიცინმა, საბჭოთა მთავრობას და კომუნისტური პარტიის ბელადებს საქვეყნოდ პოსქრა თავი და ლაფისა და ქუქყის ნიაღვარი გადაასხა თავზე. განსვენებულ გრიგოლ რობაქიძეს ამის ერთი მესამედიც არ უენია მათთვის და მიუხედავად ამისა, სოლჟენიცინი მთელი ოჯახით უვენებლად გადმოასახლეს საზღვარგარედ, სადაც მას მილიონობით დოლარი აქვს ბანკებში და საშუალება ეძლევა განაგრძოს ბრძოლა ბოლშევიკური მთავრობის წინააღმდეგ, ხოლო საქართველოს კომუნისტური მმართველები საფლავშიდაც აღარ ასვენებენ გრიგოლს. აი ქართული კომუნისტური რეჟიმის ჭკუა და სამართალი! . .

მე მაინც ვფიქრობ, რომ გრიგოლ რობაქიძის წინააღმდეგ მიმართული საშინელი სიძულვილის წყარო უნდა იყოს მისი ნაწერების ზერელედ წაკითხვა და არ გაგება. რასაც ვერ გებულობენ თავისებურად ხსნიან და „ფაშიზმს აწერენ. თუ რა რთულია გრიგოლ რობაქიძის მსოფლხედვის გაგება და ამოკითხვა, ამის შესახებ მოვიყვან ერთი ცნობილი ფილოოოსფოსისა და პროფესორის ლეოპოლდ ციგლერის აზრს, რომლის წერილის ასლიც გრიგოლ რობაქიძემ გადმომიგზავნა წასაკითხად. აი ამ წერილის შინაარსი:

„საყვარელო და პატივცემულო გრიგოლ რობაქიძე! დღეს მე თქვენ გწერთ როგორც მოაზრე და კრიტიკოსი. ეს იმის გამო რომ ამ შავბნელი კვირების განმავ-

ლობაში მე კვლავ წავიკითხე თქვენი ორივე წიგნი— „ჩაკლული სული“ და „გრაალის მცველი“. კითხვის დროს აღმოვაჩინე, რომ სულ უკანასკნელი ათი წელია საჭირო, ამ ნაწერების ღირსეულად გაგება— შეფასებისათვის, და თუ არ ვცდები, ეს ორი წიგნი, რომელთა პრელუდიას წარმოადგენს უწინ გამოცემული რონანი „გველის პერანგი“, წარმოადგენენ ქართულ ამოთეოზს და ბოლშევიზმთან დაპირისპირებას. მომავალში სამივე წიგნი უნდა გამოიცეს ერთად „საქართველოს ტრილოგიის“ სახელწოდებით.

თქვენ ხართ ერთად-ერთი, რომელიც საკუთარ თავს და თანამედროვეებს ანგარიშს აბარებთ იმ ძალების ჟღერით წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, რომელთაც სურთ კაცობრიობაზე გაბატონება. თქვენი წიგნი „საქართველოს ტრილოგია“ იქნებოდა სულიერად დაძლევა ბოლშევიზმის და ყველა სახის ძალმომრეობის“-ო.

თქვენი ლ. ციგლერი.

ქალაქი იუბერლინგენი 2-12-1942წელი.

ასე ესმოდათ და დღესაც ასე ესმით დაკვირვებულ, მიუდგომელ და გონიერ მკითხველებს გრიგოლ რამაჭიძის ნაწერები, რომელშიდაც განსვენებული ებრაოდა ყველა სახის მოძალადეობას და მისი მდიდარი და მოდერნული ხელოვანის ენით უმღეროდა მისი სამშობლოს საქართველოს განთავისუფლებას.

გიორგი გამყრელიძე.

დიდი რუსი პატრიოტი

სოლენიცინის მოქმედებამ მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო და სრულიად სამართლიანად. რადგან ჩვენ თვალწინ ზდება დავითის შებმა გოლიათთან, ან ქართული თვალთ რომ შევხედოთ — ამირანისა და ცხრა თავიან დევის ქიდილი.

სოლენიცინის ნაწერების უკვე გამოცემული ტომები 3.000 გვერდს აღემატება და მათ აქ ჩამოთვლას აზრი არა აქვს. მაგრამ მის ნაწერებში, თავისი ვანსაკუთრებული ხასიათით, გამოიყოფა „წერილი საბჭოთა კავშირის ბელადებს“.

ამ წიგნაკის განსაკუთრებულობა იმაშია რომ აქ მწერალი, შეკუმშულ ფორმებში, არა მარტო საბჭოთა სისტემის მანკიერებას აღნიშნავს არამედ ამასთანავე საბჭოთა ბელადებს რჩევას აძლევს, თუ როგორ გამოიყვანონ ჩიხიდან ქვეყანა და მისი ახალი მომავალი როგორ მოაწყონ.

სოლენიცინი, არც ხელობით არც მოწოდებით, პოლიტიკის კაცი არ არის. იგი დიდი მწერალია მოჩალისტი და ფილოსოფოსი. ამიტომ, ლოლიკურად, იგი ამწყოს შეფასებაში ბევრად უფრო ძლიერია ვიდრე—როდესაც იგი მომავლისათვის რჩევებს იძლევა. ბოლშევიკები მას რა თქმა უნდა ასე ადვილად არ დაუჯერებენ. თუმცა გამორიცხული არ არის შესაძლებლობა რომ სოლენიცინიმა რუსეთის მომავალზე გავლენა იქონიოს. არც რუსსო და ვოლტერი იყვნენ პოლიტიკოსები.

სოლენიცინის რჩევათა სულ მოკლე რეზიუმე ასეთია: ბოლშევიკებმა ხელისუფლება უნდა შეინარჩუნონ. მაგრამ უარი უნდა სთქვან იდეოლოგიაზე (მარქსიზმზე.) უნდა დაუშვან: ხელოვნების, აზროვნების, მწერლობის თავისუფლება (გარდა პოლიტიკურ მწერლობისა), უნდა თავისუფლება მისცენ ყველა რეგილიურ მოძღვრებას, უარი უნდა სთქვან იმპერიულ პოლიტიკა-

ზე და დასთმონ ყველა გავლენის სფეროები, უნდა შესწყვიტონ იდეოლოგიურად მონათესავე რეჟიმისათვის მხარის დაჭერა, (ეს საქმე ჩინეთს მიუგდონ), ზურგი აქციონ დასაველეთს და წმინდა რუსული სახელმწიფოს ბირთვი და ცენტრი, ჩრდილო აღმოსავლეთში ე. ი. ციმბირში გადიტანონ, ათვისონ ეს მხარე და გაათბონ იმ სახსრებით რომელიც დღეს კოსმოსის დაპყრობაზე უშიშროდ იხარჯება და თუ ჩინეთთან ომის თავიდან აცალება შეუძლებელი გახდა უკვე ათვისებული და დაკავებული ტერიტორია დაიკვან. ციმბირში გადატანილი ცენტრის გარშემო წმინდა რუსულ-სლავურ სახელმწიფოს შექმნა გულისხმობს რომ რუსეთმა უნდა მიატოვოს განაპირა არარუსული ქვეყნები. იგი არც თუ დიდი მოტრფიალეა დემოკრატიისა რომლის რუსეთში დამყარება საამისო სიმწიფის უქონლობის გამო მას შეუძლებლად ჰიანჩია და ფიქრობს „სოვეტების“ ნამდვილ ფუნქციის აღდგენას და ხელისუფლების, ასე თუ ისე, მასზე დაყრდნობას. ასეთია მოკლედ მის მიერ ნაპოვნი საშუალებანი არსებულ მდგომარეობიდან თავისდასაღწევად. როგორც ვხედავთ ყოველივე ეს აშკარად არა რეალისტურია თუმცა საქმისადმი სწორედ რეალისტურად მიდგომას არქმევს იგი ყოველივე ამას.

სოლჟენიცინის სიდიდე, ცხადია, მდგომარეობს არა მის პოლიტიკურ პროგნოზებში არამედ იმ ძლიერ და ღრმა ანალიზში რომელსაც იგი არსებულ მდგომარეობას უკეთებს და ამით საბჭოთა რეჟიმის ყოველმხრივ უარყოფითობას განსაცვიფრებელი სიციხადით და დამაჯერებლობით აშიშვლებს.

მაგრამ ყოველივე ამის ფონზე მოსჩანს ის საკვირველი გამბედაობა და უმაგალითო გულადობა რომლითაც მან მსოფლიო განცვიფრებაში მოიყვანა. საიდან მოდის ეს უზომო გულადობა რომელიც ამ, ერთი შეხედვით ჩვეულებრივ ადამიანს ტიტანის ზომას ანიჭებს? იმ ღრმა და მგზნებარე სიყვარულიდან რომელსაც იგი თავისი სამშობლო რუსეთისათვის განიცდის. სოლჟენიცინი გმირად

უქცევია და მისთვის პირადი შიში სრულებით გაუქარწყლებია, უფრო დიდ, უფრო ძლიერ შიშს იმ კატასტროფისას რომელსაც იგი, მისი ქვეყნისათვის, რუსეთის ჩინეთთან შეტაკებისაგან მოელის. მწერლის მრთელი არსება ამ შიშით არის შეპყრობილი ეს არის სწორედ მთავარი მიზეზი მისი მიმართვისა საბჭოთა ბელადებისადმი.

იგი ამ საფრთხეს დაეინებით მოაგონებს მათ და მის მიერ წარმოდგენილი გეგმა მხოლოდ ამ საფრთხის წინააღმდეგ ზომების მიღების ცდას წარმოადგენს. იგი პათოსითა და ტყივილით რუს ბოლშევიკებს პატრიოტიზმისაკენ მოუწოდებს და ვით ებრაელი დედა სოლომონ ბრძენის სამსჯავროს წინაშე, ბოლშევიკებს ეუბნება გქონდმთ ხელისუფლება მხოლოდ რუსეთს უშეკლეთ. უშველეთ ჩქარა. დრო საშურიაო.

ქართველ მკითხველს სოლჟენიცინის პატრიოტული აღზნება და ზოგჯერ მისი სტილიც ძალაუვნებურად ილიას მოაგონებს. ასე მომივიდა მეც. და ილიას მოგონების შემდეგ, ბუნებრივად, ჩემი გონების თვალი ჩემი ქვეყნის დღევანდელიობამ მიიზიდა. სად არის ქართველი სოლჟენიცინი. არსებობს კი იგი. და თუ არსებობს რატომა სდუმს? საქართველო ხომ ცოტნე დადიანის, ღიმიტრი თავდადებულის, თევდორე მღვდელის, ქეთევან დედოფალის, დიმიტრი ყიფიანის, კათალიკოს ამბროსის სამშობლოა. მერმე რადგან მწერალზეა ლაპარაკი, რკალი უფრო შევიწროვდა. მომაგონდა პაოლო, ტაციან, მ. ჯავახიშვილი და უეცრად. . . თვალწინ წარმომიდგა ირაკლი აბაშიძე და სხვანი მისნაირნი. და შემებრალა ეს კაცობა წართმეული ხალხი, მსხვერპლნი იმ გარემოსი რომელშიც ისინი ცხოვრობენ, როგორც ჩვენ ვეებრალება ყოველი მეძავე რომელიც აგრეთვე მის წარმომშობ საზოგადოების მსხვერპლია.

მიხეილ ქავთარაძე.

მილოცვა ვიქტორ ნოზაძეს

ეურნალი „ივერია“, მადლობით, მეგობრობით, პატივისცემით და სიყვარულით ულოცავს, 80 წლის შესრულებას, ვიქტორ ნოზაძეს. — კაცს რომელმა ქართული კულტურის გვირგვინი მარგალიტებით შეამკო და ჩვენ ემიგრანტებიც გვასახელა.

ყოველი მისი მეგობრისათვის საამაყოა რომ ვიქტორ ნოზაძის ტიტანურ შრომაში ჩვენც, თუნდაც მხოლოდ შორალურ დახმარებითა და მხარის დაჭერით, რაღაც წვლილი მიგვიძღვის, მრავალჯამიერ ვიქტორ ნოზაძეს!

კვლავ სხვა ტომები ქართულ კულტურას!

— : —

გამოვიდა „კავკასიონის“ მორიგი რვეული 16 — 17, 190 გვერდი.

ეურნალის ეს ნუმერი ფრიად მდიდარია. შიგ წარმოდგენილია ყოველგვარი სამწერლო დარგის ფრიად საინტერესო მასალა: პოეზია, პროზა, მემუარები, ნარკვევები, ჩვენგან განშორებულ პირთა მოსაგონარი, ფოტოგრაფიები და სხვა. ასეთი ხარისხის ეურნალის გამოცემა რიცხობრივად მცირე ქართულ საზოგადოებაში, დიდი მიღწევაა და ქართველთა კულტუროსნობის უტყუარი ნიშანია.

— : —

პოეზიის მოყვარულ მკითხველებს გიორგი ყიფანმა კიდევ ახალი შაირთა კრებული აჩუქა: „პოეზიის და სიცოცხლის ვაზი“. პარიზი 65 — 73 წლები. 150 გვერდიანი წიგნი მშვენიერად არის გამოცემული. წაკითხვიდან ჩანს რომ პოეტი განიცდის ევოლუციას უმჯობესობისაკენ. წიგნში მრავალი მოხდენილი და ნამდვილ ხარისხოვანი შაირია, რომელთა წაკითხვა აუცილებლად ესტეტიურ სიამის მომგვრელია.

ჩვენს მგოსანს პოეზიის კიდევ უფრო მაღალ საფეხტორზე ასვლას და კიდევ მრავალ კრებულთა გამოცემას ვუსურვებთ.

დმიტრი ქიმერიძეს ჩვენ უკვე კარგა ხანია ვიცნობთ. იგი დროგამოშვებით სხვადასხვა გამოცემებში თავის შა-
ირებს ბეჭდავდა. ახლა მან შესძლო და მკითხველს თავისი
ლექსების პირველი კრებული მიაწოდა: დმიტრი
ქიმერიძე, „ნაპერწყლები გულიდან“, 160 გვერდი.

წიგნი ლამაზად არის გამოცემული და როგორც პირ-
ველი კრებული დამაკმაყოფილებელიც არის. პოეტის
სტილი პირდაპირი, უპრეტენზიო, გულწრფელი, უნილ-
ბო და სადაა. რადგან წიგნს აწერია 1955 — 1960 წწ.
უნდა ვიგულისხმოთ რომ სხვა უფრო ახალი შაირებიც
უნდა მოეპოვებოდეს, რომელთა გამოცემის შეძლებას
ჩვენ მას გულით ვუსურვებთ.

გამოვიდა ვანო ნანუაშვილის ნაშრომი ინგლისურ
ენაზე: „რაც ყველამ უნდა იცოდეს თავისუფალ ქვეყ-
ნებში რუსეთის შესახებ.“ ეს სქელტანიანი (385 გვერ.)
წიგნი წარმოადგენს თანამედროვე მსოფლიო მდგომარე-
ობის ანალიზის ცდას და საკითხი გაშუქებულია ამ
პრობლემისადმი ჩვენთვის სასარგებლო პოზიციიდან
მიდგომით.

ამგვარი საქმისათვის პატივცემულ ავტორს ჩვენი
მადლობა და წარმატების სურვილი ეკუთვნის.

ნოე ჟორდანიას გარდაცვალების მეოცე წლისთავი.

გასულ წლის 18 ნოემბერს პარიზში გადახდილ იქ-
მნა სამოქალაქო პანაშვიდი ნოე ჟორდანიას გარდაცვა-
ლებიდან 20 წლის შესრულების გამო.

სიტყვებით გამოვიდნენ ბ-ები ნოე ცინცაძე, ლევან
ზურაბიშვილი, პავლე სარჯველაძე, მიხეილ ქავთარაძე,
ქრისტიანე ფაღავა. ლექსი წაიკითხა გიორგი ყიფიანმა.
მოსაგონარ კრებას დიდძალი ხალხი დაესწრო.

ქართული სათვისტომოს წლიური კრება

1974 წლის 28 აპრილს შესდგა ქართული სათვისტომოს წლიური კრება. კრებამ მოისმინა სათვისტომოს თავმჯდომარის ბ.ნ. ლევან ზურაბიშვილის მოხსენება ჩატარებულ მუშაობის შესახებ და სარევიზიო კომისიის მოხსენება ფინანსიურ საკითხებზე. კრების მიერ მაღლობის გამოცხადების შემდეგ ძველ გამგეობას ეთხოვა კვლავ იგივე შემადგენლობით მუშაობის გაგრძელება. წინადადება მიღებულ იქმნა, მხოლოდ გამგეობას დაუმატეს ორი ახალი წევრი: გივი ბეგიაშვილი და მიხეილ გოგიტიძე.

პირველ ჩვეულებრივ კრების დასრულებისთანავე გაიხსნა განსაკუთრებული კრება, რომელმაც მცირე აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ დაამტკიცა სათვისტომოს წესდებისათვის ზოგიერთ მუხლების შეცვლა და ზოგი დამატება.

გამომცემლობა--რედაქციის მისამართი-

M. KAVTARADZÉ
61, Chemin de Tabor
91310 LINAS

Imprimerie Cooperative Arpajonnaise, Arpajon.

